დანართი

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ემბლემა

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

აღწერილობა:

ემბლემა წარმოადგენს ლაჟვარდის (ლურჯი) არშიით შემოსაზღვრულ არასრულ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ვერცხლის (თეთრი) ველზე ცენტრში გამოსახულია გამადიდებელი ლუპის ლაჟვარდის (ლურჯი) კონტური. გამადიდებელი შუშა დაყოფილია ლაჟვარდისა (ლურჯი) და ვერცხლის (თეთრი) ოთხ თანაბარ ნაწილად. ზედა მარჯვენა მეოთხედში ლაჟვარდის (ლურჯი) ველზე გამოსახულია ვერცხლის (თეთრი) მიკროსკოპი, ქვედა მარჯვენა მეოთხედში ვერცხლის (თეთრი) ველზე -ლაჟვარდის (ლურჯი) მიკროსქემა. ზედა მარცხენა მეოთხედში ვერცხლის (თეთრი) ველზე გამოსახულია ლაჟვარდის (ლურჯი) თითის ანაბეჭდი (დაქტილოსკოპიური ნიმუში), ქვედა მარცხენა ლაჟვარდის (ლურჯი) ველზე - ვერცხლის (თეთრი) დნმ-ის (დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის) მოლეკულის ორმაგი სპირალი.